ხელშეკრულება N 111
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი

12 ივნისი 2018 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - არჩილ სირაბიძის სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის №ს-162 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე „გელა პატარაია" (შემდგომში „მიმწოდებელი"), გამარტივებული შესყიდვის შედეგად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად (კლასიფიკატორის კოდი - 31200000), ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ობიექტია: კაბელი და გამანაწილებელი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **177.50** ლარს.

#	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთ. ღირ	მთ. ღირ.	CPV კოდი
1	ქსელის კაბელი CAT5E UTP	ცალი	305	0.50	152.50	31224400
2	ქსელის გამანაწილებელი TP-Link	ცალი	1	25	25	31230000
	ჯამი				177.50	

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი საგადასახადო (ფინანსური) დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო (ფინანსური) დოკუმენტაციის გამოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველი მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მატერიალურ ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი - შტატგარეშე მოსამსახურე - რეზო ქათამაძე.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

სასაქონლო ზედნადების გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (ფინანსური) დოკუმენტაცია.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშკრულების 5.2. პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1% ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებებისშესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	ინდ. მეწარმე „გელა პატარაია“
ტელ: (422) 27-35-10	ტელ: +99599-57-43-31;
მისამართი: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119	მისამართი: ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. N 90
	საბანკო რეკვიზიტები:
საიდენტიფიკაციო კოდი - 245429200	სს „პროკრედიტ ბანკი“
	ბანკის კოდი - MBGGE22
	ა/ნ - GE08PC0033600100043497
	საიდენტიფიკაციო კოდი - 61003002868
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი:	/ინდივიდუალური მეწარმე:
/ა. სირაბიძე/ ბ. ა.	/გ. პატარაია/ ბ. ა.

ხელწერილი

შესყიდვაში მონაწილე პირების ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად ვადასტურებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ინდ. მეწარმე „გელა პატარაია“-ს შორის 2018 წლის 12 ივნისს გაფორმებული №111 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - არჩილ სირაბიძე, საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნუგზარ ცინცაძე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი - შტატგარეშე მოსამსახურე - რეზო ქათამაძე, სახელმწიფო შესყიდვების, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ანალიზის განყოფილების უფროსი - II სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - პაატა ცეცხლაძე და ამავე განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მინდია თედორაძე არ ვიმყოფებით მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

/ა. სირაბიძე/

/ნ. ცინცაძე/

/რ. ქათამაძე/

/ბ. ცეცხლაძე/

/მ. თედორაძე/

12 ივნისი 2018 წელი